საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე
ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი
ხათუნა ფურელიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: კ. ნ., ა. კ., კ. გ.

საჩივრის ავტორთა წარმომადგენელი: ადვოკატი მ. თ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 152/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ზ. მ. /სიითი N/ სპეციალიზაცია - საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს კ. ნ.-მა, ა. კ.მა და კ. გ.მა და მოითხოვეს ადვოკატ ზ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანთა წარმომადგენელმა - მ. თ.მ განხილვის კოლეგიის სხდომებზე 2020 წლის 15 ოქტომბერს და 25 დეკემბერს წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 ადვოკატი ზ. მ. საჩივრის ავტორებმა გაიცნეს 2015 წლის ივლისის თვეში ი. ბ.სა და მისი მეუღლის გიორგიოს მავრისის მეშვეობით. საჩივრის ავტორებსა და ადვოკატ ზ. მ.-ს არსებული ენობრივი ბარიერის გამო კომუნიკაცია მხოლოდ ი. ბ.სა და მისი მეუღლის მეშვეობით ჰქონდათ. ადვოკატმა ზ. მ.-მა 2015 წელს აწარმოა საჩივრის ავტორთა სამოქალაქო საქმე, რომელიც მათ სასარგებლოდ დასრულდა.

1.3 საჩივრის ავტორის კ. ნ. განცხადებით, 2017 წლის 04 ოქტომბერს ადვოკატ ზ. მ.-ს კვლავ მიმართეს ი. ბ.ს მეშვეობით, მის მიმართ არსებული ნდობიდან გამომდინარე, რათა სხვა საქმეზე გაეწია საადვოკატო მომსახურება. კერძოდ, 2017 წლის 12 ოქტომბერს შპს „ორიანტმა“ სარჩელი აღძრა

საჩივრის ავტორთა წინააღმდეგ. აღნიშნული საქმისწარმოების მიზნით, ადვოკატ ზ. მ.-სა და საჩივრის ავტორთა შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება.

1.4 2017 წლის 20 ოქტომბერს მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღის გამოყენების მოთხოვნით, საჩივრის ავტორთა საკუთრებაში არსებულ ნივთზე, რომელიც ამავდროულად დავის საგანს წარმოადგენდა. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის განცხადება და 2017 წლის 23 ოქტომბერს განჩინებით ყადაღა დაადო მათ ქონებას, აეკრძალათ იპოთეკით დატვირთვა და გასხვისება.

1.5 2017 წლის 11 დეკემბერს სასამართლოს განჩინება ჩაბარდა ადვოკატ ზ. მ.-ს. ადვოკატმა არ აცნობა საჩივრის ავტორებს აღნიშნული ფაქტის შესახებ. ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე საჩივრის ავტორებმა შეიტყვეს იმ დროს, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეებს შეხვდნენ მოლაპარაკების მიზნით, რაც ეხებოდა თანხის გადახდის სანაცვლოდ სარჩელის გახმობის საკითხს. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა არაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ ქონებაზე ყადაღა მოხსნილიყო, მათ შორის გაესაჩივრებინა განჩინება, რის შემდეგაც, საჩივრის ავტორებმა შეწყვიტეს ადვოკატ ზ. მ.-თან ურთიერთობა და დახმარებისთვის სხვა ადვოკატს მიმართეს.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, რწმუნებულების საფუძველზე ადვოკატს სასამართლოში წარმომადგენლობა ევალებოდა, რაც მას არ განუხორციელებია სრულად, ვინაიდან მათ შორის ურთიერთობა საქმის დასრულებამდე შეწყდა და კლიენტები იძულებულნი გახდნენ სხვა ადვოკატებისათვის მიემართათ, რომლებიც დღემდე წარმოადგენენ მომჩივანთა ინტერესებს სასამართლოში შპს ,,ო.---ს“ წინააღმდეგ. მომჩივანთა მოთხოვნით, ადვოკატმა უნდა დააბრუნოს თანხა ჰონორარიდან, რომელიც მან მიიღო მის მიერ განუხორციელებელი საადვოკატო მომსახურებისათვის. მომჩივანთა განმარტებით, ადვოკატმა მიიღო 10 000 დოლარი ნაღდი ანგარიშსწორებით.

1.7 2019 წლის 18 თებერვალს, სხდომაზე ნიკოლაოს კაცულამ განაცხადა, რომ მას ადვოკატ ზ. მ.-თან სხვა საქმეზე სასამართლოში წარმომადგენლობისთვის გადაუხადა თანხა 3000 დოლარი, თუმცა მოწინააღმდეგე მხარე გარდაიცვალა, შესაბამისად მათთვის სასარგებლო შედეგი დადგა ადვოკატის მოქმედებისგან დამოუკიდებლად, ამიტომაც მან თანხა უნდა დააბრუნოს.

1.8 2021 წლის 04 მარტს საჩივრის ავტორთა წარმომადგენელმა წერილობით მომართა კომისიას და აცნობა, რომ საჩივრის ავტორთა და ადვოკატ ზ. მ.-ს შორის შედგა მორიგება ამავე წლის 04 თებერვალს. კერძოდ, ადვოკატმა ზ. მ.-მა საჩივრის ავტორებს დაუბრუნა ჰონორარის ნაწილი - 4000 აშშ დოლარი, ხოლო მეორე ნაწილის - 4000 აშშ დოლარსს ადვოკატი მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით გადაიხდის 2021 წლის მაისის ბოლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორებმა უარი თქვეს ადვოკატის მიმართ კომისიაში წარმოდგენილ საჩივარზე და იშუამდგომლეს, შეწყდეს დისციპლინური საქმისწარმოება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ზ. მ.-მა განხილვის კოლეგიის სხდომებზე 2020 წლის 15 ოქტომბერს და 25 დეკემბერს წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტებები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან 2014 წელს საჩივრის ავტორები გაიცნო ი. ბ.-სა და მისი მეუღლის გიორგიოს მავრისის მეშვეობით. ბერძნებთან შემდგომი კომუნიკაციაც ადვოკატს ი. ბ.-სა და მისი ბერძენი მეუღლის მეშვეობით ჰქონდა არსებული ენობრივი ბარიერის გამო (ადვოკატი არ ფლობდა

ბერძნულ ენას, ინგლისურად ორივე მხარეს უჭირდა საუბარი). პირდაპირი კომუნიკაცია ადვოკატს საჩივრის ავტორებთან არ ჰქონია.

2.3 თავდაპირველად, ადვოკატმა ზ. მ.-მა საჩივრის ავტორებს გაუწია საადვოკატო მომსახურება, რაც ეხებოდა სადავო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ დავას. კერძოდ, ბერძენთა მიწის ნაკვეთი ყალბი მინდობილობის საფუძველზე გასხვისებული იყო თაღლითური გზით სხვა პირზე. მოცემულ საქმეში, ადვოკატი წარმოადგენდა ბერძენთა ინტერესებს. მხარეთა შორის დავა მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში, რის შედეგადაც, დავა დასრულდა საჩივრის ავტორთა ინტერესების სასარგებლოდ და ქონების შემძენი არაკეთილსინდისიერად იქნა ცნობილი სასამართლოს მიერ.

2.4 ადვოკატის განცხადების, პირველი დავის დასრულების შემდგომ, მან სხვა საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, შემთხვევით, დოკუმენტების მოძიებისას იპოვა ბერძენთა (კ. ნ., ა. კ., კ. გ.) პირადი მონაცემები, კერძოდ, თითქოს მათ ჰქონდათ გაცემული მინდობილობები და აპირებდნენ მიწის ნაკვეთის გასხვისებას. აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა ბერძნებს მიაწოდა ინფორმაცია. ადვოკატ ზ. მ.-ის დახმარებით, მათ მიმართეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვეს, რომ მინდობილობების საფუძველზე, მათ ქონებაზე სააგენტოს არ განეხორციელებინა რაიმე მოქმედებები, თუმცა აღნიშნულზე უარი განაცხადა სააგენტომ, რის შემდგომაც ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ურჩია ადვოკატმა ზ. მ.-მა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნულის შემდგომ, ბერძნებს სურდათ მიწის ნაკვეთის გაყიდვა და ეძებდნენ მყიდველებს. ადვოკატ ზ. მ.-ს კვლავ დაუკავშირდა ი. ბ. და განუცხადა, რომ შპს „ორიანტმა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს კ. ნ., ა. კ., კ. გ. წინააღმდეგ და მათ სჭირდებოდათ იურიდიული დახმარება.

2.6 ადვოკატი ზ. მ. ი. ბ.-თან ერთად შეხვდა ბერძნებს და ერთად განიხილეს სასამართლოში წარდგენილი სარჩელი, რომლის მიხედვითაც მხარე ბერძნებს ედავებოდა, რომ ისინი მიწის ნაკვეთის არაკეთილსინდისიერი შემძენები იყვნენ. ადვოკატმა ზ. მ.-მა ბერძნებს განუმარტა, რომ ვინაიდან, ისინი შპს „ო.---ს“ შემდგომ სადავო ქონების რიგით მეოთხე მყიდველები იყვნენ, ამასთან ისინი არც იცნობდნენ მოსარჩელე მხარეს, მათი არაკეთილსინდისიერ შემძენებად ცნობის თაობაზე მოთხოვნა სავარაუდოდ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო სასამართლოს მიერ.

2.7 ადვოკატის განცხადებით, მან აგრეთვე, საჩივრის ავტორებს განუმარტა, რომ მოსალოდნელი იყო სადავო მიწის ნაკვეთზე გამოყენებული ყოფილიყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორთა საქმეზე შეადგინა შესაგებელი და წარუდგინა სასამართლოს, რის შემდგომაც, მას ჩაბარდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება. სადავო ქონებაზე ყადაღის დადების ეტაპამდე, ადვოკატი ზ. მ., ი. ბ. და ბერძნები მოწინააღმდეგე მხარეებს შეხვდნენ მოლაპარაკების მიზნით.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მან ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სასამართლო განჩინების შესახებ შეატყობინა ი. ბ.-ს და სწორედ მისი მეშვეობით მიიღებდა საჩივრის ავტორები ინფორმაციას ამის თაობაზე. ამის შემდგომ, ი. ბ.-თან ერთად შეიკრიბნენ ბერძნები და მიწის ნაკვეთის შეძენის მსურველები მოლაპარაკების მიზნით. აღნიშნულ შეხვედრაზე, ადვოკატმა ზ. მ.-მა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ყადაღის მოხსნისთვის, ერთადერთი გზა იყო შებრუნების უზრუნველყოფის გამოყენება. ადვოკატმა საჩივრის ავტორებს ასევე განუმარტა, რომ სავარაუდოდ, მოსარჩელე მხარე მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის სადეპოზიტო

ანგარიშზე არ განათავსებდა თანხას, რაც ყადაღის გაუქმების საფუძველი იქნებოდა. აღნიშნულზე, ბერძნებმა ადვოკატ ზ. მ.-ს განუცხადეს, რომ იმ ეტაპზე, მოსარჩელე მხარესთან დავა არ იყო მათთვის მისაღები. ადვოკატმა პოტენციურ მყიდველებს შესთავაზა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების გაფორმება.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა ყადაღის დადების თაობაზე განჩინების გასაჩივრება, რაც მარტივი პროცედურაა. ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორებს განუმარტა, რომ გასაჩივრება იქნებოდა ფორმალური და არ იქნებოდა შედეგის მომტანი, ამასთან, საქმის განხილვა დროში გაიწელებოდა, რადგან გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაეცემოდა დროებით საქმე.

2.11 ადვოკატის განცხადებით, მიწის ნაკვეთის სავარაუდო შემძენებმა უარი განაცხადეს მოლაპარაკებაზე, რის შემდგომაც, ი. ბ.-ს და მისი მეუღლის მეშვეობით კ. ნ.ს ადვოკატმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ სხვა მყიდველები მოეძიებინათ და ყადაღის გაუქმების საქმეზეც ემსჯელათ.

2.12 ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნულის შემდეგ, მას პირადად დაუკავშირდა კ. ნ.ი და ესაუბრა ინგლისურად და განუცხადა, რომ ი. ბ.-თან მან კომუნიკაცია გაწყვიტა, ქონების მყიდველთა შესახებ ინფორმაციას კი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნიდა და თავის მხრივ, ადვოკატს საჩქარო წესით უნდა მიეწოდებინა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც ადვოკატმა გაუგზავნა მას ელექტრონული ფოსტით. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული იყო ქონებაზე არსებული ყადაღის თაობაზეც.

2.13 ადვოკატი ზ. მ. საჩივრის ავტორთა მიერ მის მიმართ უკმაყოფილების სავარაუდო მიზეზად მიიჩნევს ბერძნებსა და ი. ბ.-ს შორის წარმოშობილ უთანხმოებას. ვინაიდან, ადვოკატი სწორედ ი. ბ.ს მეშვეობით გაიცნეს, ამიტომ შესაძლოა, ეს ყოფილიყო ადვოკატის მიმართ საჩივრის ავტორთა უარყოფითად განწყობის მიზეზიც. ადვოკატი ზ. მ. ადასტურებს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული ჰონორარის მიღებას, თუმცა განმარტავს, რომ ჰონორარის დაბრუნების თაობაზე მისთვის საჩივრის ავტორებს მანამდე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

2.14 2021 წლის 04 მარტს ეთიკის კომისიის აპარატის წარმომადგენელთან სატელეფონო საუბრისას, ადვოკატმა დაადასტურა, რომ საჩივრის ავტორებსა და მის შორის შედგა მორიგება და მის მიმართ მომჩივნებს პრეტენზია არ აქვთ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ზ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 კ. ნ., ა. კ., კ. გ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2018 წლის 30 ოქტომბერს.

3.3 „შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. მ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 2021 წლის 04 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც საჩივრის ავტორმა ადვოკატ თეიმურაზ ფერაძის მიმართ მოითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან ადვოკატთან მორიგდა და მის მიმართ პრეტენზიები აღარ გააჩნია. განცხადებას თან ერთვის ქართულ-ინგლისურად შედგენილი შეთანხმება, რომელშიც მითითებულია მორიგების პირობები. 2021 წლის 04 მარტს ადვოკატ ზ. მ.-მა ეთიკის კომისიის აპარატთან სატელეფონო საუბრისას დაადასტურა მორიგების შინაარსი.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“.

5.3 ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისგებლობის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით და მიიჩნია, რომ დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან, საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს დისციპლინური წარმოების შეწყვეტა და უარი თქვეს თავიანთ პრეტენზიაზე ადვოკატ ზ. მ.-ის მიმართ.

5.4 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და დაადგინა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №152/18 ადვოკატ ზ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/